მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

ფილოსოფია 2
ისტორია 10
არქეოლოგია 16
ანთროპოლოგია 23
ფილოლოგია 29
ამერიკისმცოდნეობა 36
კულტურის კვლევები 45
რუსეთისმცოდნეობა 52
ხელოვნებათმცოდნეობა 60

პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია Philosophy
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი; • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონე; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი). • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია. **განსაკუთრებული წინაპირობა:** ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება ფილოსოფიის ინსტიტუტში წარმოადგინოს **CV** და ორი გვერდის მოცულობის **სამოტივაციო წერილი,** რომელშიც განსაზღვრავს თავისი ინტერესების სფეროებს და სამეცნიერო მიზნებს, და განმარტავს, რატომ უნდა ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლა. მას ასევე ევალება ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგის (მომავალში რომელ დარგშიც აპირებს მუშაობას). პრობლემურ საკითხზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა, რაც უნდა მოხდეს თსუ დოქტორანტურაში საბუთების მიღების დაწყებამდე არაუგვიანეს სამი კვირით ადრე. დოქტორანტობის კანდიდატს ნაშრომის მოსამზადებლად გამოეყოფა სავარაუდო ხელმძღვანელი, რომელიც მის ნაშრომზე წარმოდგენს დასკვნას. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე აგზავნის ნაშრომს სარეცენზიოდ. **სამეცნიერო ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცემა ორ პროფესორს.** დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველმა ფილოსოფიის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომი. ნაშრომის საჯარო განხილვის შედეგები და ორი დადებითი რეცენზია გახდება ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველი. დოქტორანტის კანდიდატი სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე შეადგენს მისი სამომავლო სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმას (პროსპექტუსს) სპეციალობაში გასაუბრებაზე წარსადგენად. **ნაშრომის ძირითადი კორპუსი.** ნაშრომში დასმული პრობლემა არ არის აუცილებელი, რომ ორიგინალური და ახალი იყოს, მაგრამ ნაშრომი არ უნდა ატარებდეს რეფერატულ ხასიათს. ამავდროულად, ნაშრომის ავტორმა უნდა გამოავლინოს არა მხოლოდ ტექსტისა და სამეცნიერო

	ლიტერატურის ცოდნა, არამედ ტექსტში გამჭვირვალედ უნდა ჩანდეს საკუთრივ მისეული მსჯელობა და პრობლემისადმი დამოკიდებულება. ნათელი უნდა იყოს, სად არის საკუთრივ ავტორის აზრი და სად მიმართავს ის სამეცნიერო ლიტერატურას. ნაშრომი არ უნდა წარმოადგენდეს პირველადი წყაროდან თუ სამეცნიერო და მეორადი საინფორმაციო ლიტერატურიდან ამოკრებილი მასალის მექანიკურ კომპილაციას. **ამ თვალსაზრისით, ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს.** პირველწყაროსა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება უნდა მოხდეს მათი აზრიანი ციტირებით, პრობლემის გადაწყვეტის საჭიროებიდან გამომდინარე თანმიმდევრული მსჯელობით, ნაშრომში **ყველგან** უნდა ჩანდეს, რომელი ტექსტის თუ გამოკვლევის საფუძველზე გამოთქვამს ავტორი საკუთარ მოსაზრებას. შესაბამისად, სქოლიოებში ყველგან უნდა აისახოს გამოყენებული ლიტერატურა (პირველად ვრცლად, მეორედ შემოკლებულად), გვერდების ზუსტი მითითებით (ბიბლიისა და კლასიკური ტექსტების მითითებისას გამოიყენება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიღებული პაგინაცია). თარგმანის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიეთითოს მთარგმნელი. ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს განხილული პირველადი წყაროს (შესაძლებელია ორიგინალის ენაზე ან თარგმანში, მინიმუმ ერთი ერთეული) საფუძველზე და არანაკლებ ორი ერთეულის ოდენობით სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით. • **დასკვნა.** ნაშრომს ბოლოში უნდა დაერთოს დასკვნა, ერთი გვერდის მოცულობით, სადაც ავტორი მოკლედ შეაჯამებს თავის ნაშრომს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა ჩანდეს, როგორ სცემს ავტორი პასუხს მის მიერვე დასმულ კითხვას • მითითებული ლიტერატურის სია სრული სახით (ავტორი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი, წელი). • ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი სტანდარტით: ფორმატი A4, 20-25 გვერდი, ინტერვალი-1,5. შრიფტი: UNICODE (Sylfaen), დაბეჭდილი12 ზომის შრიფტით.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფილოსოფიის დოქტორი PhD in Philosophy
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი დემურ ჯალაღონია; ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე.

ტელ.: 599 257471, 599514166
ელფოსტა: demuri.jalagonia@tsu.gea, anastasia.zakariadze@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა

კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	15 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან

	საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.
პროგრამის მიზანი	
პროგრამა ითვალისწინებს ტრადიციული ფილოსოფიური სტრატეგიების კონკრეტიზაციას, ექსისტენციის ტრანსცენდირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ონტოლოგიურ მოდუსში. კერძოდ, სწავლება-სწავლასა და კვლევას მეტაფიზიკისა და ეპისტემოლოგიის, ფილოსოფიის ისტორიის, ეთიკის, ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, ლოგიკის, რელიგიის ფილოსოფიის და ა.შ. მიმართულებით. დოქტორანტურის საერთაშორისოდ აპრობირებული სტანდარტების შესაბამისად, სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში მიზნად ისახავს დოქტორანტის ინტელექტუალურ ზრდას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ურთიერთდაახლოებას, სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას და კვლევის ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას და დარგში ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისათვის ხელისშეწყობას. **სადოქტორო პროგრამის მიზანია:** • მოამზადოს დოქტორის ხარისხის მქონე დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი სპეციალისტი, ფილოსოფოსი მკვლევარი, რომელიც მაღალ თეორიულ დონეზე გააანალიზებს და ერთიან დისკურსში წარმოადგენს ადამიანის სამყაროსადმი ფუნდამენტურ მიმართებებს, უპასუხებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს; • იყოს ორიენტირებული ფილოსოფიური მიმდინარეობების, კონცეფციების, სტრატეგიების შესწავლა-კვლევაზე, რომელთა გარეშეც დღევანდელ ინტელექტუალურ ვითარებაში წარმოუდგენელია ფილოსოფიური პრობლემების თემატიზება, გადაწყვეტა და თეორიული კვლევითი საქმიანობა. • კრიტიკულად და სიღრმისეულად გააშუქოს კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის დაპირისპირების არსი, მისცეს დოქტორანტს პოსტმოდერნული პოსტულატების სისტემატური და კრიტიკული გააზრების საშუალება; • სიღრმისეულად შეასწავლოს მას კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები, რის საფუძველზეც ის მოიპოვებს სრულ ინფორმაციას საკუთარ კონკრეტულ სამეცნიერო ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი მიღწევების შესახებ და მუდმივად განაახლებს მას; • განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის	

ორგანიზებისა და წარმართვის უნარი, რის საფუძველზეც შექმნის მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და ინტეგრირდება დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, განახორციელებს საგრანტო პროექტებს და მოამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის;

- გამოუმუშავოს მას დარგში ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირების უნარი, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების უნარი; მომიჯნავე დარგების მკვლევრებთან თანამშრომლობით ინტერდისციპლინური კვლევების უნარი;
- შესძინოს მას პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხი, მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, რათა პროგრამით მომზადებულმა მკვლევარმა დაიცვას და დაამკვიდროს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმები, ხელი შეუწყოს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, საგრანტო პროექტებში ჩართულობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის

კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი

შედეგების მიღწევას:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- წინამდებარე პროგრამით მომზადებული ფილოსოფიის დოქტორი ფილოსოფიის განვითარების ძირითადი კანონზომიერებების, დარგის ძირითადი და უახლესი კონცეფციებისა და უახლესი მიღწევების, თეორიული და კვლევითი მეთოდების ფლობის საფუძველზე წარმართავს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვით;
- აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას გადააფასებს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, ქმნის ახალ სააზროვნო კონცეპტებს და ახალ ფილოსოფიურ დისკურსს;
- აცნობიერებს ფილოსოფიის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში, აანალიზებს ფილოსოფიური მეცნიერებების ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან ინტერდისციპლინურ კონტექსტში და ასაბუთებს საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელების აუცილებლობას;

ბ) უნარები

- აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას კვლევის არასრულ და წინააღმდეგობრივ მონაცემებს კრიტიკულად აანალიზებს, პოულობს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს დასკვნებს; იყენებს დარგში უკვე დამკვიდრებულ სამეცნიერო კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს; შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- დარგის უახლეს მიღწევებზე და კვლევის უახლეს მეთოდებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე მკაფიოდ აყალიბებს აქტუალურ საკვლევ საკითხებს მეცნიერული ღირებულების მქონე სამეცნიერო პუბლიკაციებსა თუ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებში; ქმნის მეცნიერული ღირებულების მქონე დარგობრივ ტექსტებს და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აფორმებს მათ აკადემიური ფორმით, წერის დროს დარგის მეტაენისა და ენობრივი სტილის გამოყენებით;
- იცნობს და იყენებს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებსა და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს, იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს კვლევისა და მონაცემთა მოპოვების პროცესში.
- წარმატებით თანამშრომლობს მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინურ კვლევით პროექტებში;
- აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს, არა მარტო იძენს და აგროვებს ცოდნას, არამედ სხვებსაც გადასცემს; საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპების კვალიფიციური ცოდნის საფუძველზე ამზადებს ფილოსოფიური დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდურ მასალებს (მათ შორის, ელექტრონული კურსების), სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამებს, ადგენს კვლევით პროექტებს და სხვ.
- ახდენს წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციას და წარმართავს სამეცნიერო დიალოგს სამეცნიერო საზოგადოებასთან, მონაწილეობს თემატურ პოლემიკებში სხვადასხვა ტიპის აუდიტორიაში საკომუნიკაციო სტრატეგიების, ტაქტიკისა და რიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენებით.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ფილოსოფიის დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს სწავლის, კვლევისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესებს.
- კრეატიული აზროვნების საფუძველზე ახდენს ახალი იდეების გენერირებას; აფასებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, საჭიროების შემთხვევაში იცვლის სამეცნიერო პროფილს და ახდენს ახალ ვითარებასთან ადაპტირებას.

• იცავს პროფესიულ ღირებულებებს; ამჟღავნებს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეიმუშავებს ღირებულებათა დამკვიდრების გზებსა და ინოვაციური მეთოდებს.
დასაქმების სფეროები
კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ: • უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; • საჯარო სამსახურებში; • არასამთავრობო ორგანიზაციებში; • საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მეცნიერების, რელიგიის, კულტურის და პოლიტიკის შესახებ მონაცემთა ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად; • სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში; • ანალიტიკურ ცენტრებში.

პროგრამის სახელწოდება	ისტორია History
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრანტის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (სწავლის ისეთ ფართო სფეროებში შემავალ კვალიფიკაციებში, როგორებიცაა: ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები; სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია); • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცია. • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტისგეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია (დოქტორანტობის კანდიდატი, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ადგენს მისი სამომავლო სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმას (პროსპექტუსს) სპეციალობაში გასაუბრებაზე წარსადგენად).
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი PhD in History
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი ნანი გელოვანი (ახლო აღმოსავლეთის ისტორია); თსუ პროფესორი ლევან გორდეზიანი (ძველი მსოფლიოს ისტორია; პროგრამის კოორდინატორი); თსუ პროფესორი თედო დუნდუა (საქართველოს ისტორია); თსუ პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი (ახალი და უახლესი ისტორია); თსუ პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი (საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა); თსუ პროფესორი მურმან პაპაშვილი (შუა საუკუნეების ისტორია); თსუ ასოცირებული პროფესორი ჯონი კვიციანი (კავკასიის ისტორია).

	კოორდინატორი: თსუ პროფესორი ლევან გორდეზიანი ტელ.: 599 18 07 06 ელფოსტა: levan.gordeziani@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	15 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის

	ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.
პროგრამის მიზანი	
ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო როგრამის მიზანია: • მოამზადოს ისტორიის დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისა და პერიოდის ისტორიაში, როგორებიცაა: საქართველოს ისტორია, წყაროთმცოდნეობა; კავკასიის ისტორია; მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია; ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდის მსოფლიო ისტორია... მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის მიზნითა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები; • სიღრმისეულად შეასწავლოს მას დარგობრივი კვლევის თანამედროვე მეთოდები, რის საფუძველზეც ის დამოუკიდებლად მოიპოვებს და კრიტიკულად დაამუშავებს სრულ ინფორმაციას საკუთარი კონკრეტული სამეცნიერო ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი მიღწევების შესახებ და მუდმივად განაახლებს დარგობრივ ცოდნას; • განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი, რის საფუძველზეც შექმნის მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და ინტეგრირდება დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, განახორციელებს საგრანტო პროექტებს და მოამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის; • გამოუმუშავოს მას დარგში ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირების უნარი, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების უნარი; მომიჯნავე დარგები-ს მკვლევრებთან თანამშრომლობით ინტერდისციპლინური კვლევების უნარი; • აღზარდოს მკვლევარი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, რომელსაც ექნება მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, დაიცავს და დაამკვიდრებს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას.	

- მოამზადოს კურსდამთავრებული უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური და კვლევითი მოღვაწეობისათვის, შესძინოს მას უნარები, გადასცეს ახალი ცოდნა დარგში და კვლევის სიახლეები დანერგოს სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

სწავლის მეთოდები

ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ელექტრონული სწავლების მეთოდები და სხვ.

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

დოქტორანტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;

ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;

გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სემესტრული შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულების რაოდენობიდან დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომზე დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება რეცენზია, ხოლო ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;

დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;

ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;

ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

- სისტემურად და კრიტიკულად აფასებს დარგში არსებულ უახლეს თეორიებსა და მიდგომებს და მათ ინტერდისციპლინურ ხასიათს;
- სიღრმისეულად აღწერს დარგის განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ძირითად და უახლეს კონცეფციებს, უმნიშვნელოვანეს თეორიებს, არგუმენტირებულად ასაბუთებს არსებული ცოდნის გაფართოების აუცილებლობას ისტორიისა და მისი ცალკეული სუბ-დისციპლინების განვითარების პროცესში;
- სიღმისეულად ავითარებს ისტორიის ქვედისციპლინებში არსებულ ცოდნას ინოვაციური მიდგომების გამოყენების გზით.

უნარები

- ქმნის საკვლევ სფეროში აკადემიური ფორმით არგუმენტირებულ, მეცნიერული ღირებულების მქონე, სამეცნიერო სიახლის შემცველ ტექსტებს/პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებისათვის, სადაც კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ისტორიის დარგში არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ იდეებს, წარმოადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე;

- მკაფიოდ აყალიბებს ისტორიის დარგში აქტუალურ საკვლევ საკითხებს, გეგმავს კვლევით სამუშაოებს, მოიძიებს და განმარტავს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, ამზადებს კვლევის ანგარიშს და ქმნის დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას;
- ინოვაციური მიდგომების დემონსტრირების გზით გადასცემს ცოდნას სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ისტორიის დარგის აქტუალურ საკვლევ საკითხზე დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს;
- აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს ორიგინალურ მეთოდებს/მიდგომებს და საკუთარი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საჯარო სექტორი; სხვადასხვა პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები; სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ფონდები და ორგანიზაციები;
- ბიბლიოთეკები, გამომცემლობები;
- მასმედია; კერძო სექტორი.

პროგრამის სახელწოდება	არქეოლოგია Archaeology
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამას აქვს შემდეგი წინაპირობები: • მაგისტრის აკადემიური ხარისხი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით ფართო სფეროში: 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები შემავალი შემდეგი დეტალური სფეროების ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 0213 სახვითი ხელოვნება; 0222 ისტორია და არქეოლოგია; 0288 ინტერდისციპლინური, რომელიც მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ფართო სფეროში. 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია შემავალი შემდეგი დეტალური სფეროს ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები ფართო სფეროში: 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა შემავალი შემდეგი დეტალური სფეროს ფარგლებში კლასიფიცირებულ კვალიფიკაციებში: 073 არქიტექტურა და მშენებლობა 2019 წლის 10 აპრილამდე მოქმედი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ფარგლებში განათლებამიღებული დოქტორანტობის მსურველთათვის კი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (კერძოდ, ეთნოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობებში), ასევე მიმართულებათშორისი დარგებიდან არქეოლოგიის, კულტურის კვლევების, არქიტექტურის, რესტავრაციაკონსერვაციის სპეციალობებში). • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცია. • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია (დოქტორანტობის კანდიდატი, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ადგენს მისი სამომავლო სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმას (პროსპექტუსს) სპეციალობაში გასაუბრებაზე წარსადგენად).

სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	არქეოლოგიის დოქტორი PhD in Archaeology
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი თსუ პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ტელ.: 599510809 ელფოსტა: vakhtang.licheli@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	15 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით.
კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე.

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით აღჭურვილი მკვლევარი არქეოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად,
- მისცეს მკვლევარს კოლექციებზე მუშაობისა და აღმოჩენილი არტეფაქტების თანამედროვე ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევისთვის საჭირო დარგობრივი ცოდნა;

• პროგრამით მომზადებული მკვლევარი იცნობდეს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდებს;
• იცოდეს დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები;
• ჰქონდეს თანამედროვე სტანდარტებით კვლევის ჩვევები, მიღებული ცოდნის გარკვეულ ეტაპზე და კონკრეტული მიმართულებით აკუმულაციის უნარი;
• შეეძლოს სწრაფად ცვალებად გარემოში ახალი ორიენტირების, მოთხოვნილებებისა და პრობლემების შემოქმედებითად და დამოუკიდებლად გააზრება და გადაწყვეტა, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება,
• შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან ერთობლივ კვლევაში,
• ფლობდეს სრულ ინფორმაციას საკუთარი კონკრეტული სამეცნიერო ქვედარგის ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი აღმოჩენების შესახებ,
• მიღებული ფუნდამენტური ცოდნითა და უნარებით ადვილად ინტეგრირდეს საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში - იცნობდეს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებს, განახორციელოს საგრანტო პროექტები და მოამზადოს სამეცნიერო პუბლიკაციები მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის და შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი;
• ჰქონდეს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხი, მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, იცავდეს და ამკვიდრებდეს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმებს.
არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის კვლევების ძირითადი თემატიკა და არეალი:
1. ქვის ინდუსტრიის ანალიზი; 2. დემოგრაფიული/საარსებო საშუალებების მოპოვების სტრატეგიები; 3. ადამიანის ქცევითი ადაპტაციების ევოლუცია გარემოპირობების ცვალებადობის გრძელვადიანი მოდელის ფონზე; 4. გეოარქეოლოგია. 5. ქვის ხანის ადრეული/ცალკეული ეტაპები საქართველოში, კავკასიაში და მისი ადგილი ჰომინიდის განვითარების ზოგად სქემაში. 6. ბრინჯაოს ხანა საქართველოსა და კავკასიაში: მტკვარარაქსის კულტურა - ქრონოლოგიური და კულტურული დეფინიციის პრობლემები, მისი გენეზისისა და კონტინუიტედის საკითხები; ადრეული ყორღანების ადგილი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურათა კონტექსტში; შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები. 7. შუადან გვიანი ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გარდამავალი ეტაპები-გენეზისის პრობლემები. 8. ადრეული რკინის ხანა საქართველოში. 9. კოლხეთი და ეგეოსური სამყარო. 10. იბერია და აღმოსავლური ცივილიზაციები. 11. შუა საუკუნეების საქართველო.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, დარგობრივ სემინარებსა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში, საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტიმულირებითა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, საველე პრაქტიკა და სხვ.

შეფასების პროცედურები

დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.
დოქტორანტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:
ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას;

გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;

ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სემესტრული შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულების რაოდენობიდან დაგროვილი აქვს მინიმუმ 21 ქულა.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომზე დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება რეცენზია, ხოლო ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი –
შეფასების 91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების
81– 90 ქულა;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;

დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების

61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;
ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" –
არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი"
– შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:
- არქეოლოგიის დოქტორი გააზრებულად და ადეკვატურად ოპერირებს დარგის მეტაენით, ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით;
- ახდენს დარგის კვლევის მეთოდებისა და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზებას პრაქტიკაში - არქეოლოგიურ ძეგლზე, ასევე საველე მუშაობისას.
- ამზადებს არქეოლოგიური ძეგლის სრულ ანგარიშს აღწერითი ნაწილისა და ინტერპრეტაციის ჩათვლით - ადგენს არტეფაქტების იდენტობას, აჯგუფებს, გამოყოფს ტიპოლოგიურ ჯგუფებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავს ქრონოლოგიურ პარამეტრებს;
- რომელიმე პერიოდის ან მასალის მიხედვით კვლევისას ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასებს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და დამოუკიდებლად აწარმოებს დარგობრივ კვლევას.
- აცნობიერებს არქეოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ადგილს თანამედროვე ცოდნის სისტემაში და მის სხვა მეცნიერებებთან ურთიერთკავშირს;
- შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები.

უნარი
- არქეოლოგიის დოქტორი კოორდინირებას უწევს ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობას, დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს დაზვერვებს და გათხრებს, შეუძლია შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება, სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.
- ფლობს საკმარის კომპეტენციებს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო არქეოლოგიურ ექსპედიციებსა და საერთაშორისო კონფერენციებში; განახორციელოს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებულ საგრანტო პროექტები პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმით
- წარმატებით თანამშრომლობს მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან; საკუთარ კვლევაში ახდენს კომბინირებას და იყენებს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებისა და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კვლევის მეთოდებსა და ახალ აღმოჩენებს;
- ადეკვატური ლექსიკითა და ენობრივი სტილის გამოყენებით ქმნის, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აფორმებს აკადემიურ გარემოში

საჭირო ტექსტებს (სამეცნიერო ნაშრომს, რეცენზიას და სხვ.), შეუძლია მათი პრეზენტაცია, შეფასება, რეცენზირება და აკადემიური ფორმით არგუმენტირება.

- სამეცნიერო კვლევით ნაშრომში აჯამებს დარგობრივ კვლევას და მონაცემთა კრიტიკული და ღრმა ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ყველა არგუმენტის ინტეგრაციით გამოაქვს ლოგიკური, ნათლად ჩამოყალიბებული დასკვნები, სათანადოდ ასაბუთებს მათ.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- არქეოლოგიის დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს სწავლისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს, აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სამეცნიერო პროფილის შეცვლა და ახალ ვითარებასთან ადაპტირება.
- პატივს სცემს ინტელექტუალურ საკუთრებას, აღიარებს პლაგიატის მიუღებლობას, აქვს სხვათა აზრის პატივისცემა, ჯგუფურ პროექტებში მუშაობისას იცავს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკის ნორმებს; შეუძლია ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება.

დასაქმების სფეროები

არქეოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტმა შეიძლება იმუშაოს სხვადასხვა სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში არქეოლოგიის სპეციალობის მიხედვით. ამასთან, მატერიალური კულტურის ღრმა ცოდნის მიღების შედეგად, მას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საექსპერტო სამუშაო, ანუ შეაფასოს (ქრონოლოგიურად, კულტურულად, წარმოშობის თვალსაზრისით) ის ნივთები, რომლებიც კონკრეტული ინტერესების საგანს შეიძლება შეადგენდეს. შესაძლებელია, დასაქმდეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სამსახურებში; ანალიტიკურ ცენტრებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში.

პროგრამის სახელწოდება	ანთროპოლოგია Anthropology
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებაში, სამართალში, სოციალურ მეცნიერებებში, ხელოვნებაში, ჯანდაცვაში, და მიმართულებათშორის დარგებში (როგორიცაა კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა); • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე სერტიფიკატი და/ან შესაბამისი გამოცდა; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი). • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ანთროპოლოგიის დოქტორი PhD in Anthropology
სწავლების ხანგრძლივობა	3 წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი ქეთევან ხუციშვილი ტელ.: 595 457007 ელფოსტა: ketevan.khutsishvili@tsu.ge

პროგრამის სტრუქტურა	
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	35 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის

ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია

- მოამზადოს თანამედროვე ანთროპოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები;
- გამოუმუშავოს პრაქტიკული კვლევების განხორციელების, მოვლენების პროგნოზირება-მართვის და რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- განუვითაროს საველე სამუშაოების ჩატარების, დაკვირვების, ინტერვიურების, დოკუმენტების ანალიზის, ინფორმაციის ანალიზისა და სხვა ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენების ჩვევები;
- მოამზადოს ანთროპოლოგიის საკვლევ პრობლემათა დარგობრივი კომპენტენციის მქონე სპეცალისტი, რომელსაც ექნება ცოდნა როგორც მაკროანთროპოლოგიურ, ასევე მიკროანთროპოლოგიურ შემდეგ სფეროებში: ანთროპოლოგიის ისტორია, სიმბოლოთა სისტემები, ეკონომიკური ანთროპოლოგია, გენდერული ურთიერთობები, მიგრაციები, ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორები, ეთნოსთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემები, სხვადასხვა სახის კონფლიქტების კულტურული კონტექსტები (იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური, სოციალური თუ სხვ.);
- მოამზადოს არსებული ეთნოგრაფიული რეალობის (ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული თავისებურებების) ფიქსაციის, რიგ შემთხვევებში ზოგიერთი ტრადიციული ელემენტის აქტუალიზების (მაგ. სოციალური კონტროლის მექანიზმები, ურთიერთდახმარების ფორმები და სხვა) მცოდნე სპეციალისტი;
- მოამზადოს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების, ანთროპოლოგიური პრობლემების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც სათანადო ანთროპოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეძლებენ პროგნოზირებადი გახადონ საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, დარგობრივი სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია,), პრაქტიკული (პროექტის შემუშავება და წარმართვა), წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის

მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).
სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:

ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობს და იყენებს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს;
- აანალიზებს ანთროპოლოგიის განვითარების ძირითად მიმართულებებს და უახლეს კონცეფციებს; აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანის კულტურასა და სოციუმში არსებობის შესახებ;
- ავლენს შესაბამის კომპეტენციას კულტურულ, სოციალურ და ქცევით საკითხებში;
- წარმოაჩენს პროფესიულ კომპეტენციას ანთროპოლოგიური კვლევის ცალკეულ ქვედარგებში, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნა და ღირებულებები;

- შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში ანთროპოლოგიის ადგილის გაცნობიერებითა და ახალი მიდგომების გამოყენებით აანალიზებს ყოფისა და კულტურის ფუნქციონალური ელემენტების არსს;
- განიხილავს საზოგადოების მახასიათებლებს, როგორც დიაქრონულ ასევე სინქრონულ ჭრილში; აკვირდება მიმდინარე ეთნო-კულტურულ პროცესებს და აკეთებს პროგრნოზს მათი განვითარების პერსპექტივების შესახებ;

უნარები

- ახდენს უკვე არსებული ცოდნისა და მონაცემების ახლებურ ანალიზს, შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. დამოუკიდებლად აწარმოებს კვლევას.
- დარგის უახლეს მიღწევებზე და კვლევის უახლეს მეთოდებზე დამყარებული ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე მკაფიოდ აყალიბებს აქტუალურ საკვლევ საკითხებს, ქმნის მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და პუბლიკაციებს;
- შეძენილ ცოდნასა და კომპეტენციებს იყენებს პრაქტიკაში. ოპერირებს დარგის სამეცნიერო აპარატით და თანამშრომლობს მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან;
- აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს როგორც საკუთარ, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს; აგროვებს და სხვებსაც გადასცემს ცოდნას. კვალიფიციურად ამზადებს დარგის ცალკეული მიმართულების სასწავლო-მეთოდურ მასალებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ანთროპოლოგიის დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს სწავლის, კვლევისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესებს.
- ავლენს მეცნიერული ეთიკის ნორმებს, ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის უნარს; იცავს პროფესიულ ღირებულებებს. ამჟღავნებს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას კოლეგებთან ურთიერთობისას.
- მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. ამჟღავნებს კულტურათა მრავალფეროვნებისა და განსხვავებული აზრის პატივისცემას, ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, არა მხოლოდ ეძიებს ღირებულებათა დამკვიდრების გზებს, არამედ მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებსაც.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საჯარო სამსახურებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- სამუზეუმო, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ეთნიკური, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური საკითხებით დაკავებულ როგორც სახელმწიფო ასევე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში;
- მასობრივი მედიის საშუალებებში და ტურისტულ სააგენტოებში;
- ეთნო-კულტურული და სოციალურ საკითხების ანალიზისა და შეფასების ექსპერტებად;

- სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში;
- ანალიტიკურ ცენტრებში.

პროგრამის სახელწოდება	ფილოლოგია Philology
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერებების ფართო სფეროს შემდეგი დეტალური სფეროების ფარგლებში არსებულ კვალიფიკაციებში: **0231 ენის დაუფლების,** **0232 ლიტერატურისა და ლინგვისტიკის,** **0239 ენები-არაკლასიფიცირებული** ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნის დადასტურება მინიმუმ B2 დონეზე თსუ-ს უცხოური ენების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით (იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას,მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება). სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კვლევის ბაზადშერჩეული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის/კათედრისა თუ კვლევითი ცენტრის რეკომენდაცია. სპეციალობაში გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენის საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ფილოლოგიის დოქტორი PhD in Philology
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი

პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამას კოორდინირებას უწევს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სამსახურის უფროსი ასოც. პროფ. **ეკატერინე ნავროზაშვილი**
	ტელ.: 577947767
	ელფოსტა: ekaterine.navrozashvili@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	15 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და

	განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე და წამყვანი საერთაშორისო ჰუმანიტარული კვლევითი ცენტრების გამოცდილების გაზიარებით, მოამზადოს თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო- კვლევითი სტანდარტების შესატყვისი დარგობრივიდა ზოგადი კომპეტენციების მქონე მკვლევარი ფილოლოგი ფილოლოგიის აქტუალური სამეცნიერო პრობლემების გადასაჭრელად და ამით ხელი შეუწყოს საქართველოში ფილოლოგიის სხვადასხვა სფეროში ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნასა და ამ მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში; როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა აკადემიური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

კერძოდ, ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურაში არსებული შესაბამისი სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ჩართულობით, აგრეთვე, საუნივერსიტეტო კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და რესურსების გამოყენებით, მიზნად ისახავს:

- დოქტორანტს სიღრმისეულად შეასწავლოს ფილოლოგიის დარგისა და კვლევისთვის შერჩეული ფილოლოგიური სფეროს ფუნდამენტურ ცოდნაზე დაფუძნებული კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები.
- განუვითაროს მას არჩეულ ფილოლოგიურ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე, შესაბამისი კვლევითი მეთოდებით დამოუკიდებელი თუ კოლექტიური სამეცნიერო გამოკვლევის შესრულების უნარი.
- ხელი შეუწყოს დოქტორანტს საკუთარი კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ინტეგრირებაში;
- გამოუმუშაოს მას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- განუვითაროს მაღალი მეცნიერული ღირებულებები, შესძინოს კვლევის პროცესში პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის ვალდებულება და უახლესი სამეცნიერო ცოდნის გაცვლა-გავრცელების პასუხისმგებლობა, რაც უნივერსიტეტის ე.წ. მესამე მისიას წარმოადგენს.

სწავლის მეთოდები

პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, კონფერენციებში მონაწილეობის, საგრანტო პროექტებში ჩართულობის, რეცენზირებად– რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს დოქტორანტთა სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ევრისტიკული მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; ელექტრონული სწავლების მეთოდები და სხვ.

სასწავლო კურსების სალექციო და სასემინარო შეხვედრები ძირითადად დაეთმობა მსჯელობას/დისკუსიას დამოუკიდებლად ან გუნდურად (პრეზენტაციებით, შერეული და ელექტრონული სწავლების ელემენტებით), დასაშვებია კოლეგიალური შეფასება (Peer Review) და თვითშეფასება, ანალიზი და სინთეზი და სხვა.

პრობლემათა გადასაჭრელად და მეცნიერული შედეგების მისაღწევად პროგრამაში კომპლექსურად გამოიყენება ლოგიკის შემდეგი ძირითადი მეთოდები და მათზე დაფუძნებული მიდგომები: კლასიფიკაცია და ტიპოლოგიზაცია; ანალიზი და სინთეზი; ინდუქცია და დედუქცია; ანალოგია დაშედარება; მტკიცება-დასაბუთება და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, ინტერაქტიური სწავლების მეთოდთაგან ყველაზე გავრცელებული – დისკუსია / დებატები და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- ფილოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად და არგუმენტირებულად აღწერს, განიხილავს და იყენებს დარგისა და საკვლევი სფეროს თეორიულ და კვლევით მეთოდებს;
- იდენტიფიცირებას ახდენს და კრიტიკულად აანალიზებს ფილოლოგიის დარგისა და საკვლევი სფეროს
- განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ძირითად და უახლეს კონცეფციებს, უმნიშვნელოვანეს თეორიებს, დარგის ინტერდისციპლინურ ასპექტებს;
- არჩეული კვლევის სფეროს შესაბამისად ოპერირებს ახალისამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით,დარგის მეტა ენით და სამეცნიერო ბიბლიოგრაფიით.

ბ) უნარები

- მის მიერ არჩეულ საკვლევ სფეროში მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე ფილოლოგიის დოქტორი კვლევას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვით; კრიტიკულად გადააფასებს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეულ ნაწილს, პოულობს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს, შეიმუშავებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს;
- ფილოლოგიის დოქტორი ქმნის საკვლევ სფეროში აკადემიური ფორმით არგუმენტირებულ, მეცნიერული ღირებულების მქონე, სამეცნიერო სიახლის, მიგნების შემცველ ტექსტებს/პუბლიკაციებს და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აფორმებს მათ;
- ახდენს კვლევის გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზებას. ფლობს და იყენებს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო ასპექტებს პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის საპროექტო წინადადებების მიმზიდველი ფორმით მისაწოდებლად.
- აანალიზებს და აფასებს სამეცნიერო კვლევებს და სათანადოდ წარმოაჩენს კვლევის შედეგებს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან,

სხვადასხვა ფორმით წარმართავს სამეცნიერო დიალოგს საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან (სამეცნიერო ფორუმები),

- ფილოლოგიის დოქტორი ახდენს რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; იღებს სწორ, სტრატეგიულ და ეფექტურ გადაწყვეტილებას კვლევისას. სიღრმისეულად ხედავს როგორც მთელს, ისე მის ნაწილებს, მათ ურთიერთკავშირებსა და ერთიანობას; წარმატებულად თანამშრომლობს მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან დარგის ინტერდისციპლინური ასპექტების აქტუალიზებით;
- პრაქტიკულად იყენებს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებს; სასწავლო პროცესში ნერგავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარ პრინციპებსა და კომპონენტებს; კვლევისა და სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიას.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ფილოლოგიის დოქტორი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს; არა მხოლოდ იძენს და აგროვებს ცოდნას, არამედ სხვებსაც გადასცემს მას; საზოგადოებაში ავრცელებს და პოპულარიზებას უწევს ჰუმანიტარულ, კერძოდ, ფილოლოგიურ კვლევათა მიღწევებს.
- სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში შეუძლია განსხვავებული აზრისა და ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მიღება; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით ადეკვატურად იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიებსა და ტაქტიკას; კვლევის პროცესში განუხრელად იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
- აქვს კრეატიული აზროვნება და ახდენს ახალი იდეების გენერირებას; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს სამეცნიერო პროფილი და მოახერხოს ახალ გარემოებებთან ადაპტირება.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- სამეცნიერო-კვლევითი ფონდები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები;
- საჯარო და კერძო სექტორი;
- გამომცემლობები, მასმედია;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები, კომპანიები და სხვ.

პროგრამის სახელწოდება	**ამერიკისმცოდნეობა** **American Studies**
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ამერიკისმცოდნეობაში; ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში; ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში: კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა; • თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებსაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ამერიკის თემატიკაზე, სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის, სტუდენტთა) სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა საბუთებთან ერთად); • მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B-2 დონეზე) ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი). • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ამერიკისმცოდნეობის დოქტორი PhD in American Studies
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი

	ტელ.: +995 599988423
	ელფოსტა: elene.medzmariashvili@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	35 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის

	ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

ამერიკისმცოდნეობა ინტერდისციპლინარული/მულტიდისციპლინარული სადოქტორო პროგრამაა, რომელიც მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის აქტუალურია საქართველოშიც, სადაც ინტერესი განათლებისა და მეცნიერების აღნიშნული დარგისადმი ყოველწლიურად იზრდება. პროგრამით გათვალისწინებული საკვლევი პრობლემების თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანია და გულისხმობს აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს _ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, სულიერი და მატერიალური კულტურის _ შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის, ამერიკაში ქართული დიასპორისა და ყველა იმ საკითხს, რომლის ცოდნა საქართველოსთვის პრიორიტეტულია. აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიღწევებისა თუ პრობლემების ობიექტური ანალიზი ქართველ მეცნიერებს საკუთარი ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაშიც დაეხმარება.

დღეს, როდესაც აშშ–სა და ლათინური ამერიკისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება, საქართველოს სჭირდება მკვლევრები, ექსპერტები და კვალიფიციური კადრები, რომლებიც ამერიკისმცოდნეობის დარგში მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომების შექმნას შეძლებენ. Aამ ნაშრომებს მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. სამეცნიერო კვლევის შედეგები პოზიტიურ წვლილს შეიტანს ქართული სახელმწიფოს არაერთი სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის – სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, დემოკრატიის ხარისხის ამაღლების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირების, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების გათავისების, მსოფლიო თანამეგობრობაში სრული ინტეგრირების – გადაწყვეტაში.
წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს: მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, რომელსაც ექნება ამერიკისმცოდნეობის, მის მიერ არჩეული, და მომიჯნავე მიმართულებების სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; სრულად დაეუფლება სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებს; მიიღებს კვლევისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილებას, რის შედეგადაც მზად იქნება

უმაღლეს საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამსახურისთვის; პროგრამა მოამზადებს როგორც თეორეტიკოს, ასევე პრაქტიკოს მეცნიერებსა და პედაგოგებს, რომლებსაც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია ექნებათ.

პროგრამაში ამერიკელი მეცნიერების ჩართვის შესაძლებლობა არსებობს, რომლებიც თანახელმძღვანელების ან კონსულტანტების ფუნქციას შეასრულებენ. ასევე, სპეციალური პროგრამებით, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მიზნით, შესაძლებელია დოქტორანტების აშშ-ში შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში მივლინება.

სადოქტორო პროგრამა დოქტორანტებს სთავაზობს ოთხ საკვლევ მიმართულებას: **ისტორია-პოლიტიკა, ფილოლოგია, სოციალური საკითხები და ხელოვნება,** რომელთა გაღრმავებული ინტეგრირებული სწავლება და კვლევა არის გათვალისწინებული პროგრამით.
დოქტორანტებს კონკრეტული საკვლევი პრობლემის არჩევისას საშუალება მიეცემათ, იმუშაონ პრობლემაზე, რომელიც შეიძლება ინტერდისციპლინარული იყოს (მაგალითად, ისტორია/ლიტერატურა, პოლიტიკა/ისტორია, ისტორია/ქალთა საკითხები, ლიტერატურა/ქალთა საკითხები, ფილოსოფია/რელიგია, ისტორია/მიგრაციული პროცესები, მულტიკულტურალიზმი/სოციალური პრობლემები, ხელოვნება/ტურიზმი და ა.შ.), რაც ამერიკისმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს სპეციფიკას წარმოადგენს. გარდა ამისა, მათ შეეძლებათ იმუშაონ აშშ-ისა და ლათინური ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონსა თუ ქვეყანაში.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი

და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).
სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება
სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

- ამერიკისმცოდნეობის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები. არჩეული სპეციალობის შესაბამისად შეუძლია ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. შეუძლია დარგის გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება;
- შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებს ამერიკისმცოდნეობის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში; აცნობიერებს საკვლევად არჩეული დარგის ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან;
- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს აქვს ამერიკის ცხოვრების კონკრეტული სფეროების ღრმა ცოდნა; აშშ-ის, კანადის ან ლათინური ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება, რაც დოქტორანტს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და ეხმარება ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებაში;
- ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების, საუნივერსიტეტო კურსებისა და სპეციალური სასწავლო კურსის შესწავლის საფუძველზე, დოქტორი ფლობს მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, იღრმავებს წარმოდგენას ამერიკისმცოდნეობის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, ეცნობა ამერიკისმცოდნეობის ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ამ ცოდნას იგი გამოიმუშავებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართვა დოქტორანტს აძლევს, ერთის მხრივ, ცოდნის გაღრმავების, მეორე მხრივ კი, სასწავლო საქმიანობისათვის მომზადების საშუალებას;
- იცის რეგიონმცოდნეობის და, კერძოდ, ამერიკისმცოდნეობის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; აქვს მეცნიერებების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, რაც

შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;

- აქვს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ამერიკისმცოდნეობის სფეროში რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას მისცემს;
- აქვს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ამერიკისმცოდნეობის სფეროში რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას მისცემს;
- შეუძლია დარგში სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება;
- აცნობიერებს ამერიკისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და გადაჭრა;
- იცის მეცნიერული ანალიზის ხერხები და მეთოდები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია ნებისმიერი სფეროდან (პოლიტიკა, ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, ფილოსოფია, კულტურა და ა.შ.) ამერიკისმცოდნისათვის აუცილებელი აქტუალური პრობლემებისა და მიღწევების გათვალისწინებით ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; აშშ-ის და ლათინური ამერიკის ქვეყნების როგორც მიღწევების, ასევე პრობლემების ცოდნის გამოყენების უნარი საკუთარი ქვეყნის პრობლემების უკეთ გაცნობიერებასა და მათი გადაჭრის გზების მოძიება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის, სწავლების დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აშშ-საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობისა და მისი განვითარების პერსპექტივების გაცნობიერებისა და ამერიკაში ქართული დიასპორის ისტორიისა და მისი თანამედროვე პრობლემების ცოდნის გზით, ამ ურთიერთობის გაღრმავებისა და დიასპორის პრობლემების მოგვარების გზების ძიება;
- მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო თუ ანალიტიკური ტიპის დაწესებულებებში მუშაობისას;
- მას შეუძლია ამერიკისმცოდნეობის დარგში იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- შეუძლია დაგეგმოს კვლევითი და პრაქტიკული ამოცანები და განხორციელოს ისინი დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე;
- ამერიკისმცოდნეობის დოქტორი დაუფლებულია დარგის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე. მას შეუძლია თანამედროვე კვლევის სტანდარტებზე მორგება და შესაბამისად, ახალი უნარების განვითარება.

დასკვნის უნარი:

- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით რთული, ახალი და წინააღმდეგობრივი მონაცემების

ანალიზი, სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება;

- მას შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ამერიკისმცოდნეობის დარგში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს;
- მას შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული და ინტერდისციპლინური კომპლექსური პრობლემები; შეიმუშაოს და გამოიყენოს ახალი იდეები და მეთოდები ამ პრობლემების გადასაჭრელად და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენოს დამატებითი რესურსები;
- ამერიკისმცოდნეობის დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას სამეცნიერო, კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტზე, თანამედროვე და ეფექტური მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით.

კომუნიკაციის უნარი - ცოდნის გამდიდრება და სააუდიტორიო მუშაობის პრაქტიკა ამერიკისმცოდნეობის დოქტორს უყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობისა და მისი წარმართვის უნარს, კერძოდ:

- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ (და ესპანურ) ენებზე. შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და ინგლისურ (და ესპანურ) ენებზე. თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი - ამერიკისმცოდნეობის სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, კვლევისა და საქმიანობის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისათვის მზაობა:

- შეძლებს ახალი იდეებისა და ცოდნის რეპრეზენტაციას პროფესიულ კვლევასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში;
- გამოიყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს;
- დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს კვლევის უახლეს მეთოდებს და გეგმავს მათ ადაპტირებას საერთაშორისო კვლევის მეთოდებში. დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პროექტებს და ახორციელებს სწორ მენეჯმენტს.

ღირებულებები - ამერიკისმცოდნეობის სფეროში დაგროვილი ცოდნა დოქტორს უყალიბებს გააზრებულ ცოდნას ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ:

- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს გაცნობიერებული აქვს მისი მიმართულებისათვის სპეციფიკური ეთიკური პრობლემები და შეუძლია ეთიკური ღირებულებების დაცვა;
- ამერიკისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია თანამედროვე საგანმანათლებლო ღირებულებათა სისტემის კვლევა და მისი ადაპტირება საკუთარი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში. მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, ის აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი დემოკრატიული, ლიბერალური ღირებულებების ფორმირებაში. ხელს უწყობს უცხო სახელმწიფოებთან და ხალხებთან წარმოებული ურთიერთობების სამართლებრივი და ეთიკური ასპექტების შემეცნება – განჭვრეტას.

დასაქმების სფეროები
ამერიკისმცოდნეობის დოქტორის კომპეტენციის სფერო მოიცავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას ამერიკისმცოდნეობის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, აშშ–ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებას მრავალეთნიკური, მრავალკონფესიური და მრავალკულტურული საზოგადოების სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას. შესაბამისად, დოქტორის ხარისხის მქონე ამერიკისმცოდნეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამის კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამის სახელწოდება	**კულტურის კვლევები** **Cultural Studies**
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი კულტურის კვლევებში, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, ხელოვნებაში, განათლების მეცნიერებებში, არქიტექტურაში, რეგიონმცოდნეობაში; • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე სერტიფიკატი და/ან შესაბამისი გამოცდა; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი). • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	კულტურის კვლევების დოქტორი PhD in Cultural Studies
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი ნინო ჩიქოვანი ტელ.: 599 247815 ელფოსტა: nino.chikovani@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**

სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	35 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH

	PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

კულტურის კვლევები (Cultural Studies) ახალი და სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო მიმართულებაა. მისი მიზანია კულტურის გაგება მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, აგრეთვე იმ სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, რომელშიც კულტურა ფუნქციონირებს. დღეს, როცა კულტურის ფენომენისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება და მას საგანგებო ადგილი ეთმობა მსოფლიოს მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად საყურადღებო ვერსიაში, ფრიად მნიშვნელოვანია კულტურის კვლევათა სპეციალისტების მომზადება საუნივერსიტეტო სივრცეში.

წარმოდგენილი პროგრამა **მიზნად ისახავს** კულტურის ფენომენის კვლევის საკვანძო მომენტების გამოკვეთასა და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

დოქტორანტურაში სწავლის შედეგი და კომპეტენცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: კულტურის კვლევების დოქტორს უნდა შეეძლოს: კვლევის შედეგად ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა; დაგროვილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება; კულტურის კვლევების ისტორიისა და ძირითადი მიმართულებების გაგება; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნირებათა სივრცეში კულტურის კვლევების ადგილის განსაზღვრა; თანამშრომლობა სხვა დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების პროცესში; ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით გადმოცემა; მას უნდა ესმოდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები. სადოქტორო პროგრამით მომზადებულ სპეციალისტს უნდა შეეძლოს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

ცოდნა და გაცნობიერება - ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების, საუნივერსიტეტო კურსებისა და სპეციალური სასწავლო კურსის შესწავლის საფუძველზე, დოქტორანტი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები. შეუძლიაახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. შეუძლია დარგის გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება. შეუძლია კულტურის კვლევების დარგში სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით;

დაუფლებულია მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, კულტურის ფენომენის მეცნიერული ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, აქვს ღრმა წარმოდგენა კულტურის კვლევის ინტერდისციპლინურ ხასიათზე, იცნობს ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს კულტურის კვლევებში. აცნობიერებს კულტურის კვლევების ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში და მის ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ამ ცოდნას იგი იყენებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართვა დოქტორანტს აძლევს, ერთი მხრივ, ცოდნის გაღრმავების, მეორე მხრივ კი სასწავლო საქმიანობისათვის მომზადების საშუალებას. კულტურის კვლევების დოქტორი იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს;

კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - კულტურის კვლევების დოქტორის აქვს ემპირიული მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება, მასალის მოძიება, კრიტიკული ანალიზი, სისტემატიზაცია, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით.

მას შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები;შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია მოამზადოს დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო პროექტების შემუშავება. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.;

დასკვნის უნარი - მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით საკვლევი საკითხების განხილვა, თითოეული მიდგომის საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი და შეფასება, რაც ხელს უწყობს კვლევის მეთოდოლოგიის სწორ და დასაბუთებულ შერჩევას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას;

კომუნიკაციის უნარი - ცოდნის გამდიდრება და საუდიტორიო მუშაობის პრაქტიკა სტუდენტს უყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობისა და მისი წარმართვის უნარს ქართულ და უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - კულტურის კვლევათა სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, კვლევისა და საქმიანობის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისათვის მზაობა;

ღირებულებები - კულტურის კვლევათა სფეროში დაგროვილი ცოდნა სტუდენტს უყალიბებს წარმოდგენას ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ.

დასაქმების სფეროები

დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას, მედიაპოლიტიკას კულტურის სფეროში, რეგიონული კონფლიქტების კულტურული საფუძვლებისა და მათი მოგვარების გზების ანალიზს, კულტურათა ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებას პოლიეთნიკურ, მრავალკონფესიურ და მრავალკულტურულ საზოგადოებაში.

პროგრამის სახელწოდება	**რუსეთისმცოდნეობა** **Russian Studies**
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• რუსეთისმცოდნეობის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და მათი დარგების/ქვედარგების, სამართლისა და მისი დარგების/ქვედარგების მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; • ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე სერტიფიკატი და/ან შესაბამისი გამოცდა. • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი). • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	რუსეთისმცოდნეობის დოქტორი PhD in Russian Studies
სწავლების ხანგრძლივობა	3 წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელები: თსუ ასოცირებული პროფესორი დალი კანდელაკი; თსუ ასოცირებული პროფესორი მარინა გარიშვილი. ტელ.: 577 278838 ელფოსტა: dali.kandelaki@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა	

კომპონენტის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	35 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში

(ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

პროგრამის მიზანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსეთისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

დღეს საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება მკვლევრები, ექსპერტები და კვალიფიციური კადრები, რომლებიც რუსეთისმცოდნეობის დარგში მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომების შექმნას შეძლებენ. ამ ნაშრომებს მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. სამეცნიერო კვლევის შედეგები თავის პოზიტიურ წვლილს შეიტანს დამოუკიდებული ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, შინაგანი სტაბილურობისა, თუ სხვა არაერთი სასოცოცხლოდ აუცილებელი პრობლემის გადაწყვეტაში. სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტები, კვალიფიციური მკვლევარები და ექსპერტები, რომლებიც შეძლებენ რუსეთის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე მუშაობას, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების კვლევას.

თსუ-ში ამ დარგის სინთეზურად სწავლება და ფუნდამენტურად კვლევა 2008-2009 სასწავლო წლიდან დაიწყო მაგისტრატურის საფეხურზე. “რუსეთისმცოდნეობის” სადოქტორო პროგრამა თსუ-ში პირველად 2009-2010 სასწავლო წელს ამოქმედდა. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას შეძლებენ როგორც რუსეთისმცოდნეობის, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, სამართლის მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე

დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.
შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო

კვლევის ნაწილები.
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).
სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება
სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:
- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:
- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:
- რუსეთისმცოდნეობის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის რეგიონმცოდნეობის და კერძოდ, რუსეთისმცოდნეობის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; აქვს მეცნიერებების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.
- რუსეთისმცოდნეობის დოქტორი აცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში; აცნობიერებს საკვლევად არჩეული დარგის ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან.

- აქვს უახლესი თეორიული და კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც რუსეთისმცოდნეობის სფეროში რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას მისცემს;
- რუსეთისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია რუსეთისმცოდნეობის დარგში სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება.
- იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს.
- აცნობიერებს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს და შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და გადაჭრა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- რუსეთისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია დამოუკიდებლადაწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და
- ანალიტიკური მეთოდებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო თუ ანალიტიკური ტიპის დაწესებულებებში მუშაობისას.
- მას შეუძლია რუსეთისმცოდნეობის დარგში იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- შეუძლია დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან;
- შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები;
- შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს რუსეთისმცოდნეობის დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია დარგსა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება.
- შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში
- დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩენა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმით.
- შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების

სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ. და განხორციელოს ისინი დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე.

- რუსეთისმცოდნეობის დოქტორი დაუფლებულია დარგის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე.
- მას შეუძლია თანამედროვე კვლევის სტანდარტებზე მორგება და შესაბამისად, ახალი უნარების განვითარება.

დასკვნის უნარი:

- რუსეთისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით რთული, ახალი და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.
- მას შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც რუსეთისმცოდნეობის დარგში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.
- მას შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული და ინტერდისციპლინური კომპლექსური პრობლემები; შეიმუშაოს და გამოიყენოს ახალი იდეები და მეთოდები ამ პრობლემების გადასაჭრელად და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად გამოიყენოს დამატებითი რესურსები.
- რუსეთისმცოდნეობის დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას სამეცნიერო, კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით.

კომუნიკაციის უნარი:

- რუსეთისმცოდნეობის დოქტორს შუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენაზე. შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატიკურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და უცხოურ ენებზე.
- თავისუფლად გამოიყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის უნარი:

- შეძლებს ახალი იდეებისა და ცოდნის რეპრეზენტაციას პროფესიულ კვლევასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
- გამოიყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს.
- დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს კვლევის უახლეს მეთოდებს და გეგმავს მათ ადაპტირებას საერთაშორისო კვლევის მეთოდებში.
- დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პროექტებს და ახორციელებს სწორ მენეჯმენტს.

ღირებულებები:

- რუსეთისმცოდნეობის დოქტორს გაცნობიერებული აქვს რუსეთისმცოდნეობის მიმართულებისათვის სპეციფიკური ეთიკური პრობლემები და შეუძლია ეთიკური ღირებულებების დაცვა.
- რუსეთისმცოდნეობის დოქტორს შეუძლია თანამედროვე საგანმანათლებლო ღირებულებათა სისტემის კვლევა და მისი ადაპტირება საკუთარი ქვეყნის საგამანათლებლო სივრცეში. მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად, ის

აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში. ხელს უწყობს მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან წარმოებული ურთიერთობების სამართლებრივი და ეთიკური ასპექტების შემეცნება – განჭვრეტას.
დასაქმების სფეროები
• აკადემიური და კვლევითი საქმიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში; • საჯარო სექტორი და სამთავრობო ინსტიტუტები; • არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; • პოლიტიკური ორგანიზაციები; • კერძო სექტორი და ბიზნეს სტრუქტურები; • საკონსულტაციო დაწესებულებები; • მედია და საინფორმაციო ცენტრები.

პროგრამის სახელწოდება	ხელოვნებათმცოდნეობა Art History and Theory
საფეხური	დოქტორანტურა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (სწავლის ისეთ ფართო სფეროში შემავალ კვალიფიკაციებში, როგორებიცაა: ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები; ასევე სწავლის შემდეგ ვიწრო სფეროებში: 0314.1.4 კულტურის კვლევები; 0314.1.6 ეთნოლოგია; 0314.1.7 სოციალური ან/და კულტურული ანთროპოლოგია; 0388.1.1 ევროპისმცოდნეობა; 0388.1.2 ამერიკისმცოდნეობა; 0731.1.1 არქიტექტურა; 0413.2.9 ხელოვნების მენეჯმენტი); • ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე; • პროგრამის ხელმძღვანელისა და სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცია; • სპეციალობაში გასაუბრების (სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) წარდგენა) შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია. **განსაკუთრებული წინაპირობა:** პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის მისაღებად ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში წარმოადგინოს CV და ორი გვერდის მოცულობის **სამოტივაციო წერილი,** რომელშიც განსაზღვრავენ თავისი ინტერესების სფეროებს და სამეცნიერო მიზნებს, და განმარტავენ, რატომ უნდათ ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. მას ასევე ევალება ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა. სამეცნიერო ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცემა ორ პროფესორს. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველმა ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომი, ნაშრომის საჯარო განხილვის შედეგები გახდება ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველი. 1) **ნაშრომის ძირითადი კორპუსი.** ნაშრომში დასმული პრობლემა არ არის აუცილებელი, რომ ორიგინალური და ახალი იყოს. **ამ თვალსაზრისით, ნაშრომი შეიძლება ატარებდეს ნაწილობრივ**

	რეფერატულ ხასიათს. მაგრამ ამავდროულად, ნაშრომის ავტორმა უნდა გამოავლინოს არა მხოლოდ ტექსტისა და მეორადი ლიტერატურის ცოდნა, არამედ ტექსტში გამჭვირვალედ უნდა ჩანდეს საკუთრივ მისეული მსჯელობა და პრობლემისადმი დამოკიდებულება. ნათელი უნდა იყოს, სად არის საკუთრივ ავტორის აზრი და სად მიმართავს ის მეორად ლიტერატურას. ნაშრომი არ უნდა წარმოადგენდეს პირველადი წყაროდან თუ მეორადი ლიტერატურიდან ამოკრებილი მასალის მექანიკურ კომპილაციას. **ამ თვალსაზრისით, ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს.** პირველწყაროსა და მეორადი ლიტერატურის გამოყენება უნდა მოხდეს მათი აზრიანი, პრობლემის გადაწყვეტის საჭიროებიდან გამომდინარე თანმიმდევრული მსჯელობით, ნაშრომში **ყველგან** უნდა ჩანდეს, რომელი ტექსტის თუ გამოკვლევის საფუძველზე გამოთქვამს ავტორი საკუთარ მოსაზრებას.. შესაბამისად, სქოლიოებში ყველგან უნდა აისახოს გამოყენებული ლიტერატურა (პირველად ვრცლად, მეორედ შემოკლებულად), გვერდების ზუსტი მითითებით (ბიბლიისა და კლასიკური ტექსტების მითითებისას გამოიყენება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიღებული პაგინაცია). თარგმანის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიეთითოს მთარგმნელი. ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა განხილული იყოს პირველადი წყაროს (შესაძლებელია ორიგინალის ენაზე ან თარგმანში, მინიმუმ ერთი ერთეული) საფუძველზე და არანაკლებ ორი ერთეულის ოდენობით მეორადი ლიტერატურის გამოყენებით. **2) დასკვნა.** ნაშრომს ბოლოში უნდა დაერთოს დასკვნა, ერთი გვერდის მოცულობით, სადაც ავტორი მოკლედ შეაჯამებს თავის ნაშრომს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა ჩანდეს, როგორ სცემს ავტორი პასუხს მის მიერვე დასმულ კითხვას **3)** მითითებული ლიტერატურის სია სრული სახით (ავტორი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი, წელი). **4)** ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი სტანდარტით: A4 ფორმატის მინიმუმ 20 მაქსიმუმ 25 გვერდი, აკრეფისას გამოიყენეთ ფონტები: Sylfaen, ინტერვალი-1,5.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი PhD in Art History and Theory
სწავლების ხანგრძლივობა	სამი წელი
სწავლების გადასახადი	2250 ლარი
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ N1 - ი სასწავლო კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. N1
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროფესორი: **ზაზა სხირტლაძე**

	ტელ.: 599904334
	ელფოსტა: zaza.skhirtladze@tsu.ge
	პროგრამის სტრუქტურა
კომპონენტის სტატუსი	**ECTS-მოცულობა**
სავალდებულო სასწავლო კურსები/აქტივობები	25 კრედიტი (ECTS)
არჩევითი სასწავლო კურსები/აქტივობები	15 კრედიტი (ECTS)
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი	დოქტორანტს მოეთხოვება ორი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება და საჯაროდ წარდგენა, სამი პუბლიკაცია, ინტერნაციონალიზაციის დადასტურება და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. **დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი** არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები. კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე. **სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა** დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სასწავლო კომპონენტისა და 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტის შესრულება. ამასთან, დოქტორანტს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან

	საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან, კვლევის ინტერნაციონალიზაციის დადასტურებლად, ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Scienceის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.
პროგრამის მიზანი	
ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: • დასავლური საუნივერსიტეტო განათლების პრაქტიკისა და გამოცდილების შესაბამისად, მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მკვლევარი როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე თანამედროვეობის ასპექტებითა და ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის წარმოჩენით, რომელსაც შეუძლია ახალი ცოდნის შექმნის მიზნითა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში როგორც ზოგადთეორიულ დონეზე, ისე კონკრეტული და/ან შედარებითი კვლევები სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის ძეგლებთან მიმართებით – უძველესი ხანიდან დაწყებული, თანამედროვე ეპოქის ჩათვლით; • სიღრმისეულად შეასწავლოს მას დარგობრივი კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინური მეთოდები, რის საფუძველზეც ის დამოუკიდებლად მოიპოვებს და კრიტიკულად დაამუშავებს სრულ ინფორმაციას საკუთარი კონკრეტული სამეცნიერო ინტერესების სფეროში არსებული სიახლეებისა და უახლესი მიღწევების შესახებ და მუდმივად განაახლებს დარგობრივ ცოდნას; • განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი, რის საფუძველზეც შექმნის მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომს და ინტეგრირდება დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში, განახორციელებს საგრანტო პროექტებს და მოამზადებს სამეცნიერო პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული რეფერირებადი გამოცემებისათვის; • გამოუმუშავოს მას დარგში ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირების უნარი, დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების უნარი; მომიჯნავე დარგების მკვლევრებთან თანამშრომლობით ინტერდისციპლინური კვლევების უნარი; • აღზარდოს მკვლევარი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, რომელსაც ექნება მაღალი მეცნიერული ღირებულებები, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობები, დაიცავს და დაამკვიდრებს აკადემიური და პროფესიული ეთიკის ნორმებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ და კულტურულ განვითარებას, უახლესი სამეცნიერო ცოდნის	

გაცვლა-გავრცელებას.

- მოამზადოს კურსდამთავრებული უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური და კვლევითი მოღვაწეობისათვის, შესძინოს მას უნარები, გადასცეს ახალი ცოდნა დარგში და კვლევის სიახლეები დანერგოს სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

სწავლის მეთოდები

სადოქტორო პროგრამა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების – კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს.
აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:
ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი);
დემონსტრირების მეთოდი;
ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
ანალიზისა და სინთეზის;
დისკუსია/დებატები;
შემთხვევის შესწავლა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
ელექტრონული სწავლების მეთოდები და სხვ.

შეფასების პროცედურები

სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების სისტემა იცნობს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის,

შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტის შეფასება: დოქტორანტი ვალდებულია, გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დოქტორანტი ვალდებულია, შეასრულოს და საჯაროდ წარმოადგინოს **ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი,** რომელიც არის მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილები.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ფასდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით (განმავითარებელი შეფასება).

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დადებითი შეფასება არის სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად მიღების წინაპირობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) - შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) - – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების

შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
სწავლის შედეგები
ა) ცოდნა და გაცნობიერება • სისტემურად და კრიტიკულად აფასებს დარგში არსებულ უახლეს თეორიებსა და მიდგომებს და მათ ინტერდისციპლინურ ხასიათს; • სიღრმისეულად აღწერს დარგის განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ძირითად და უახლეს კონცეფციებს, უმნიშვნელოვანეს თეორიებს; წარმოაჩენს მხატვრული შემოქმედების თავისებურებების მნიშვნელობას წარსულისა და თანამედროვეობის შემოქმედებითი ასპექტების კომპლექსური კვლევისათვის, ქვეყნის კულტურის კვლევის, პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების პროცესში; • სიღრმისეულად ავითარებს მსოფლიო და ქართული ხელოვნების ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების არსებულ ცოდნას ინოვაციური მიდგომების გამოყენების გზით. • **ბ) უნარები** • ქმნის საკვლევ სფეროში აკადემიური ფორმით არგუმენტირებულ, მეცნიერული ღირებულების მქონე, სამეცნიერო სიახლის შემცველ ტექსტებს/პუბლიკაციებს მაღალრეიტინგული სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებისათვის, სადაც კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგში არსებულ დარგობრივ ლიტერატურასა და კომპლექსურ, წინააღმდეგობრივ იდეებს, წარმოადგენს საკუთარი კვლევის შედეგებს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე; • მკაფიოდ აყალიბებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში აქტუალურ საკვლევ საკითხებს, გეგმავს კვლევით სამუშაოებს, მოიძიებს და განმარტავს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, ამზადებს კვლევის ანგარიშს და ქმნის დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას; • ინოვაციური მიდგომების დემონსტრირების გზით გადასცემს ცოდნას სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას; • ახდენს კვლევის გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზებას. ფლობს და იყენებს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპებს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო ასპექტებს პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის საპროექტო წინადადებების მიმზიდველი ფორმით მისაწოდებლად. • მონაწილეობს სამუზეუმო, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის დაგეგმარების საკითხებზე სხვადასხვა მედია-პროექტების, საგამოფენო-საექსპოზიციო, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პრეზენტაციების, აქციების ორგანიზებასა და განხორციელებაში; მუზეუმის სპეციფიკისა და კოლექციების ტიპის გათვალისწინებით, სხვადასხვა მუდმივი და დროებითი (შემეცნებითი, თემატური, სისტემური, ინტერაქტიული, გამოყენებითი და სხვა) გამოფენების კონცეფციისა და პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში; **გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • ხელოვნებათმცოდნეობის დარგის აქტუალურ საკვლევ საკითხზე დამოუკიდებლად, ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს; • აკადემიური/პროფესიული საქმიანობისას წარმოადგენს ორიგინალურ მეთოდებს/მიდგომებს და საკუთარი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.
დასაქმების სფეროები
• საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები; • სამუზეუმო, საგამოფენო, საარქივო, ტურისტული ორგანიზაციები;

- კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობის კვლევასთან და მართვასთან, ექსპერტიზასთან დაკავშირებული როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები და ორგანიზაციები;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ფონდები და ორგანიზაციები;
- ბიბლიოთეკები, გამომცემლობები;
- მასმედია;
- კერძო სექტორი.